13/11/2025

MES 8 25 0001605969

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს მწვანე სკოლა დიდი დიღომი:
მარიამ რამინაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლა:
ეკა გაბინაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლა:
ხათუნა წილოსანი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემისს აჯარო სკოლა:
მერაბ ძაძამია - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს მწვანე სკოლა დიდი დიღომი:
ა) მაკა მამფორია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანნა ბედენაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლა:
ა) ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო შიუკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლა:
ა) ლანა ყურაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ციალა გაგნიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ხუტილაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ხათუნა საყვარელიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარგარიტა ჯიქია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკატერინე ხუცოშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ტაბუცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თინათინ გიორგაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლა:
ა) ინა ბიწაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დალი თურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ხუტილაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ციალა ჩიტია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია კილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარი ფალელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 31 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.შპს მწვანე სკოლა დიდი დიღმის მიერ მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2.შპს მწვანე სკოლა დიდი დიღმის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3.სსიპ - ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4.სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული 1-ელი და მე-2 საკითხები განიხილებოდა გაერთიანებულ ფორმატში, რადგან შეეხებოდა ერთი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხებს.

1.შპს მწვანე სკოლა დიდი დიღმის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
2.შპს **მწვანე სკოლა დიდი დიღმის მიერ** მოსწავლეთა **ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრ დის შესახებ**
საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა მამფორიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 04 და 05 სექტემბერს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების განაცხადები. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სურდა ქალაქ თბილისში, დიდი დიღომი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N12-ში. აქვე, დასძინა, რომ აღნიშნულ მისამართზე სკოლას მანამდე ჰქონდა ორი შენობა და შემდგომ ააშენა მესამე. განაცხადითმოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა იყო 1800. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1800 მოსწავლისთვის. ექსპერტის თქმით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის (მე-3 სტანდარტი - სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შესრულების შემოწმება, რომელიც შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა კარიერის მრჩეველთა სამსახური, მასწავლებლები და მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში, ხორციელდებოდა გარე მონიტორინგი და კომპეტენციის ამაღლების მიზნით ტრენინგები. ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსი.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, რამდენი მოსწავლე იყო თითოეულ კლასში.

სკოლის დირექტორის, მარიამ რამინაშვილის თქმით, საკლასო ოთახები იყო 45 კვ.მ და შესაძლებელი იყო 24 მოსწავლის განთავსება, თუმცა მოცემული დროისთვის თითო კლასში საშუალოდ 20 მოსწავლე ირიცხებოდა.საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რომელი რჩევები და რეკომენდაციები ჰქონდა გათვალისწინებული სკოლას.
სკოლის დირექტორის თქმით, მე-3 სტანდარტთან მიმართებით მიღებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ჰქონდა მიწერილობა ყველა შესაბამის ორგანოსთან და ელოდებოდნენ საბოლოო დასკვნებს.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი დაინტერესდა, რა კრიტერიუმებით არჩევდა სკოლა იმ მასწავლებლებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, ასევე, პროფესიული განვითარების რა მექანიზმები ჰქონდათ. სკოლის დირექტორის თქმით, გაცვლით პროექტებში ჩართულობის მიზნით დაწესებულება თანამშრომლობდა Erasmus +-სთან. მისი თქმით შერჩევის დროს უპირატესობა ენიჭებოდა ახალბედა მასწავლებლებს, მსგავსი პროექტების მიზანს სწორედ მასწავლებელთა მოტივაციისა და კომპეტენციის ამაღლება წარმოადგენდა. მოწვეულ მასწავლებლებთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი სხვადასხვა უნივერსიტეტთან და მოწვეული მასწავლებლები გამოცდილებას იღებდნენ აღნიშნული დაწესებულებების საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიებში.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს უცხოელ გარე შემფასებლებთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნო საბჭოს წევრებისთვის.
სკოლის დირექტორის თქმით, სკოლისთვის გარე შემფასებლების მთავარი მიზანი იყო გამოწვევების იდენტიფიცირება. მისი თქმით გამოწვევები ძირითადად შეეხებოდა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, აქვე, დასძინა, რომ მწვანე სკოლა-დიდ დიღომს ექნებოდა საციგურაო მოედანი, რომელიც ასევე გარე შემფასებლების ინიციატივით მოეწყობოდა.საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, შესაძლებელი იყო თუ არა 1800 მოსწავლისთვის საგანმანათლებლო სერვისისერთ ცვლაში მიწოდება.ექსპერტმა, მაკა მამფორიამ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა შესაბამისი რესურსი, რომ ერთცვლიანი სწავლის პირობებში განეხორციელებინა სწავლება.
საბჭოს წევრი, მანანა თურქაძე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ერთცვლიანი სწავლებისთვის შესაბამისი ადამიანური რესურსი.
სკოლის დირექტორის თქმით, თითოეულ კლასში მასწავლებელთან ერთად იყო ტუტორი მასწავლებელიც., აქვე დასძინა, რომ ყველა მასწავლებელს კვალფიკაცია ჰქონდა დადასტურებული და შესაბამისად სკოლას ჰყავდა შესაბამისი ადამიანური რესურსი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

1.შპს მწვანე სკოლა დიდი დიღმის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის ფართის ცვლილების საკითხი.
2. შპს მწვანე სკოლა დიდი დიღმის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 1800-ით განსაზღვრის საკითხი.

დაწყების დრო - 14:45
დასრულების დრო - 14:48

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

1. გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2 -ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს მწვანე სკოლა დიდი დიღმის (ს/კ: 211357020) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შემდეგ მისამართზე:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N12ა. შენობა-ნაგებობები: N1; N2 და N3.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N12ა. შენობა-ნაგებობები: N1; N2 და N3.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N12ა. შენობა-ნაგებობები: N1; N2 და N3.

2. გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს მწვანე სკოლა დიდ დიღომს(ს/კ: 211357020)) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1800-ით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ოქტომბერში უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, შენობა-ნაგებობა N3 -ის საჯარო რეესტრში დარეგისტრირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 22 და 23 სექტემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 31 აგვისტოს N1060098 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1550 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 1473.
ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ვინაიდან კომპონენტი 3.5 შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- „სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ახალი მისიის და ხედვის დამტკიცება, რომელიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან;
- სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება ;
- სკოლამ განსაზღვროს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურულ სივრცის ჩამოყალიბების პროცესში,წარმოაჩინოს სკოლის დანიშნულება-შეუქმნას მოსწავლეს ყველა პირობა, რომ თავი მაქსიმალურად დაცულად იგრძნოს და შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება;
- სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ, იმგვარად , რომ ,, ჩვენ“ განცდის დანერგვა მოხდეს სასკოლო საზოგადოებაში;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს საბოლოოდ შეთანხმებული მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროობის უზრუნველყოფა მისთვის ხელსაყრელი ყველა საკომუნიკაციო არხით და ფორმით;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება,სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, რეკომენდებულია არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, სტრატეგიული მიზნების ფორმულირება, მხედველობაში უნდა იქონიოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც უმაღლეს დონეზე დეკლარირებული პრინციპები, რომელთან წინააღმდეგობაშიც არ უნდა მოდიოდეს სტრატეგიული მიზნები და აქტივობები;
- დაწესებულებამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა და ასახოს მასში ინდიკატორით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია;
- დაწესებულებამ პერსონალის შერჩევის დროს დაადგინოს სავალდებულო დოკუმენტების წარმოდგენის ნუსხა, სადაც გათვალისწინებული იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტები; დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის შეფასებისა და პროფესიულ განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა , რომლიც პერსონალის შეფასებისას მიმართული იქნება იმაზე, თუ რამდენად არის მათი ქმედებები და მიზნები თავსებადი სკოლის მიზნებსა და სტრატეგიულ ხედვასთან, სამოქმედო გეგმებთან, რამდენად უწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას;
- ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად რეკომენდებულია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ათვლის წერტილი იყოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია), რომელიც პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას გულისხმობს;
- შესაბამისი კვალიფიკაციის და რაოდენობის ექიმის დასაქმება სკოლაში, ასევე საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირების გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან;
- ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად რეკომენდებულია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ათვლის წერტილი იყოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია), რომელიც პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას გულისხმობს;
- შექმნას ოფიციალური ვებ გვერდი, რითაც მოახდენს საზოგადოების ინფორმირებულობას;
- ვებ გვერდზე განათავსოს ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ, ასევე რაც ინდიკატორით არის გათვალისწინებული.“

ექსპერტის თქმით ავტორიზაციის დროს მიღებული ერთი რეკომენდაცია არ იყო შესრულებული, კერძოდ „მოაწყოს პანდუსი სართულებს შორის გადაადგილების მიზნით“.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:05
დასრულების დრო: 15:11

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლის (სკ: 206031907) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისა და პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა

დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლანა ყურაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 21 და 22 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 215. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 215 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ლანა ყურაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან მიღებული რა რეკომენდაციები და რჩევები ჰქონდა გათვალისწინებული სკოლას, ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაში აღნიშნული იყო, რომ მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და ხელშეწყობის მიზნით სკოლას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი პროფესიულ სასწავლებელთან და დაწესებულების ბაზაზე მიმდინარეობდა გიდების, ბუღალტრების, მცენარეთა დაცვის ჯგუფების გადამზადება და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, აღნიშნულთან დაკავშირებით მეტი დეტალი ეცნობებინა საბჭოსთვის.

სკოლის დირექტორმა, ხათუნა წილოსანმა, აღნიშნა, რომ დაიწყო სკოლის ეზოში მდებარე ძველი შენობის დემონტაჟისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმა, ასევე, გასწორებული იყო შრომით ხელშეკრულებებში არსებული ხარვეზები. მისი თქმით, სკოლას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი კოლეჯთან „ჰორიზონტი“ და სკოლის ბაზაზე ისწავლებოდა ბუღალტერია, გიდის საქმე, მცენარეთა დაცვა.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, როგორ უზრუნველყოფდა სკოლა მოსწავლეთა უსაფრთხოებას იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ სკოლის ტერიტორიაზე მდებარეობდა სადემონტაჟო შენობა.

სკოლის დირექტორის თქმით, ჰქონდათ გაწერილი მორიგეობა და დამონტაჟებული იყო ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები. მისი თქმით, შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსგან მიღებული ჰქონდათ პასუხი, რომ სკოლის ეზოში მდებარე შენობა არ წარმოადგენდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და ექვემდებარებოდა დემონტაჟს.

საბჭოს წევრი, დავით მალაზონია დაინტერესდა, 3.4 კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ერთწლიანი ვადა რამდენად რეალისტური იყო, ასევე, რა ეტაპზე იყო მე-2 სტანდარტთან მიმართებით მიღებული რჩევების გათვალისწინების საკითხი..

სკოლის დირექტორის თქმით, ძირითადი სამუშაოები უკვე გაწეული ჰქონდათ, შესაბამისად შესაბამისობის გეგმით გაწერილი ვადა რეალისტური იყო. მე-2 სტანდარტთან მიმართებით განმარტა, რომ დამტკიცებული იყო ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა, მოხდა კურიკულუმების რევიზია და დაწყებული ჰქონდათ აქტიური მუშაობა რჩევების გათვალისწინებისთვის.
საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რომ სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დაემტკიცებინა სამეურვეო საბჭოს და არა სკოლის დირექტორს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 215-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:23
დასრულების დრო - 15:28

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლას (ს/კ: 237102185) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 215-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი დვაბზუ.
2		საბაზო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი დვაბზუ.

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი დვაბზუ.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შვიდწლიან სტრატეგიულგეგმასთან შესაბამისობაში მოყვანის, მისი სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცების, ხოლო 2026 წლის ოქტომბერში, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, სკოლის ეზოში მდებარე ძველი შენობის დემონტაჟის, 2027 წლის ოქტომბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ინა ბიწაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 09 და 10 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 245. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შესაბამისი რაოდენობის ინვენტარი და არსებული რესურსით სკოლას საგანმანათლებლო სერვისის განხორციელება შეეძლო 150 მოსწავლისთვის. აქვე, ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას დაწესებულება ახორციელებდა ორ მისამართზე:

ჩხოროწყუ, ლეწურწუმეს თემი და ჩხოროწყუ, ლეწურწუმეს თემი ეგიარზენის უბანი, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა ჩხოროწყუში, ლეწურწუმეს თემში.
ექსპერტმა, ინა ბიწაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელთა ინიციატივითაც შექმნილი იყო სკოლის გერბი, ასევე, თვითმმართველობა მუშაობდა შინაგანაწესში ცვლილების შესატან ინიციატივაზე, რომელიც ეხებოდა სასკოლო ფორმების შემოღებას. მათი ინიციატივით დაწყებული იყო პროექტზე მუშაობა „ეკოლოგიური განათლება პრაქტიკაში“.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობების ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ ძირითადი შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები. აქვე წარმოადგინა სადემონტაჟო შენობების ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის. ექსპერტმაგანმარტა, რომ ეგიარზენის უბანში მდებარე შენობას ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, სარეაბილიტაციო შენობაში მიმდინარეობდა თუ არა სწავლება, ასევე, რა მდგომარეობა იყო ხელოვნების მასწავლებლის დასაქმებასთან მიმართებით.
ექსპერტმა, ინა ბიწაძემ, აღნიშნა, რომ სარეაბილიტაციო შენობაში სწავლება არ მიმდინარეობდა, ხელოვნების მასწავლებელთან დაკავშირებით კი სკოლა აცხადებდა ვაკანსიებს.
საბჭოს წევრი, ნონა ჩუბინიძე დაინტერესდა, იყო თუ არა შესაძლებელი სადემონტაჟო შენობების შემოღობვა მანამდე, სანამ მოხდებოდა დემონტაჟი.
სკოლის დირექტორის, მერაბ ძაძამიას განმარტებით, აღნიშნული პრობლემა სკოლას ჰქონდა 2023 წლიდან, მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის, მზად ჰქონდათ ხარჯთაღრიცხვა და იმედოვნებდნენ, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე მოხდებოდა დემონტაჟი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.
სკოლის დირექტორის თქმით, სადემონტაჟო შენობები შემოღობილი იყო, გამოყოფილი ჰყავდათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და პერიმეტრს აკონტროლებდა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე რამდენი მოსწავლე ჰყავდა სკოლას.
ექსპერტის, ინა ბიწაძის თქმით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ორი მოსწავლე ჰყავდა სკოლას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:39
დასრულების დრო - 15:42

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლას (ს/კ: 242263545) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, ლეწურწუმეს თემი; ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, ლეწურწუმეს თემი, ეგიარზენის უბანი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, ლეწურწუმეს თემი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, ლეწურწუმეს თემი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში ხელოვნების მასწავლებლის დასაქმების, STEM ლაბორატორიის მოწყობის, ყველა მატერიალური და ტექნიკური რესურსისთვის შესაბამისი ნომრის მინიჭებისა და სკოლის ბალანსზე აყვანის, ხოლო 2027 წლის ოქტომბერში ეგიარზენის უბნის დაწყებითი სკოლის შენობის რეაბილიტაციის, შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსართხოების შესახებ დასკვნების (სოფელი ლეწურწუმე და ეგიარზენის უბანი), ამორტიზებული შენობების დემონტაჟის და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების (სოფელი ლეწურწუმე და ეგიარზენის უბანი) წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 15:45 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე